საქართველოს უნივერსიტეტი

ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა

სკოლა

სადოქტორო პროგრამა: ბიზნესის

ადმინისტრირება

ხელნაწერის უფლებით

ნინო მაღრაძე

საქართველოს ტურიზმის განვითარების ტენდენციების შეფასება (მაღალმხარჯველ ტურისტებზე ორიენტირებული ბაზრის განვითარების და ფინანსურ რესურსებზე წვდომის სირთულეების კონტექსტში)

ბიზნესის ადმინისტირების დოქტორის აკადემიური

ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი ნაშრომის

„სადისერტაციო

მაცნე“

(კვალიფიკაციის კოდი

0413.1.2 - ბიზნესის

ადმინისტრირება)

თბილისი 2025

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლაში

სადისერტაციო საბჭოს წევრები:

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი, რუსუდან ციცქიშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი, ეკა გეგეშიძე

სამეცნიერო თანა-ხელმძღვანელი - პროფესორი, ზურაბ გარაყანიძე

სადისერტაციო საბჭოს წევრი - პროფესორი, გივი ლემონჯავა

ექსპერტები:

1. გიორგი დვალაშვილი, პროფესორი
2. რუსუდან სეთურიძე, პროფესორი
3. ეკა დევიძე, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2025 წლის 28 ნოემბერს, 15:00 საათზე.

მისამართი: თბილისი, კოსტავას 77ა, #519 აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და უნივერსიტეტის ვებ გვერდზე: www.ug.edu.ge სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2025 წლის 5 ოქტომბერს;

სადისერტაციო საბჭოს მდივანი ნათია მანჯიკაშვილი

თემის აქტუალობა

ტურიზმი დღეს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ და დინამიკურ სექტორად გვევლინება გლობალურ ეკონომიკაში, რასაც ხელს უწყობს საერთაშორისო მობილობის ინტენსიფიკაცია და ტურისტული გამოცდილებების დივერსიფიკაციის ტენდენცია. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი ტურისტული მიმართულებები, რომლებიც გამოირჩევა ხელუხლებელი გარემოს, უნიკალური ბიოგეოგრაფიული რესურსებისა და კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის ავთენტურობით.
საქართველო, თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობით, კულტურული მრავალფეროვნებითა და ბუნებრივი სიმდიდრით, თანამედროვე ტურისტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ქვეყანაა. 2024 წელს საქართველოში იმოგზაურა 6.5 მილიონმა საერთაშორისო ვიზიტორმა და თითქმის 5 მილიარდი აშშ დოლარის შემოსავლები აკუმულირდა (რაც 2023 წლის მაჩვენებლებს 7%-ით აღემატება). სწორედ აქედან გამომდინარე, კვლევის აქტუალობა განპირობებულია ტურიზმის სექტორის სტრატეგიული მნიშვნელობით საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესში. ნაშრომში, საქართველოში პირველად განხილულია ტურიზმის ინდუსტრიის ქვე-სექტორების დეტალური ანალიზი სექტორის წარმომადგენლების კვლევაზე დაფუძნებით, რომელსაც ეყრდნობა ნიშური ტურისტული პროდუქტების განვითარების სტრატეგიული პერსპექტივების შეფასება. კვლევის შედეგად ასევე, შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს ტურიზმის გლობალურ კონკურენტუნარიანობას და ქვეყნის ეკონომიკის დივერსიფიკაციას ტურიზმზე დამოკიდებული სექტორების ზრდის ხარჯზე.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ტურიზმის განვითარების ტენდენციების ყოვლისმომცველი შეფასება, ტურისტული ნაკადების სტრუქტურული ანალიზი, ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მზადყოფნის კვლევა, ნიშური ტურისტული მიმართულებების განვითარების დონე, ადამიანური კაპიტალისა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეფასება და ამ მონაცემებზე დაფუძნებული სტრატეგიული რეკომენდაციების შემუშავება. კვლევა გამოირჩეოდა ჩაღრმავებული ანალიზით, რომლის ფარგლებშიც დადგინდა ინტერაქციები მაღალმხარჯველი ბაზრებიდან ჩამოსულ ტურისტულ ნაკადებს, ნიშური ტურისტული პროდუქტების სიმრავლესა და ადგილობრივ ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს შორის, აგრეთვე დაისვა კითხვა ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული წვდომისა და ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას შორის კავშირის შესახებ.

მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

ნაშრომი წარმოადგენს პირველ მცდელობას საქართველოს ტურიზმის სექტორის სისტემური შეფასებისა შერეული კვლევითი მიდგომის საფუძველზე, რომელიც აერთიანებს რაოდენობრივ მაკროეკონომიკურ მონაცემებს, ექსპერტულ ინტერვიუებსა და დარგობრივ დაკვირვებებს. კვლევის მთავარი სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ პირველად განხორციელდა საქართველოს ტურიზმის სექტორის ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ და ინსტიტუციურ განზომილებებში ურთიერთდამოკიდებულების კომპლექსური ანალიზი, რაც შესაძლებელს ხდის

ტურიზმის სისტემური განვითარების გაანალიზებას არა მხოლოდ მაჩვენებლების დინამიკის მიხედვით, არამედ იმ მექანიზმების ჭრილში, რომლებიც განსაზღვრავს სექტორის მდგრადობასა და კონკურენტუნარიანობას.
თეორიული თვალსაზრისით, ნაშრომი ავითარებს ტურიზმის სისტემური ანალიზის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ და ინსტიტუციურ ფაქტორებს, როგორც ურთიერთდამოკიდებულ სისტემას. აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა ტურიზმი აღიქმებოდეს არა როგორც იზოლირებული ეკონომიკური დარგი, არამედ როგორც კომპლექსური სოციალური და სივრცითი ფენომენი, რომელიც ურთიერთქმედებს სხვადასხვა სეგმენტებთან.
კვლევა აგრეთვე ავითარებს შერეული ანალიზის გამოყენების პრაქტიკულ მოდელს ტურიზმის პოლიტიკის შეფასების კონტექსტში. რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების მრავალმხრივი გადამოწმების პრინციპით მიღებული შედეგები ქმნის ახალ ბაზას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ეროვნული ტურიზმის პოლიტიკის ადაპტირება გლობალურ ტენდენციებთან და საერთაშორისო პრაქტიკასთან.
პრაქტიკული მნიშვნელობით, ნაშრომი წარმოადგენს ინსტრუმენტს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორისთვის. კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნები და რეკომენდაციები ქმნის სტრატეგიულ საფუძველს ტურიზმის განვითარების პოლიტიკის, საინვესტიციო მიმართულებებისა და ინფრასტრუქტურული პრიორიტეტების განსაზღვრისათვის.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, კვლევის მეთოდოლოგიის, სამი თავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან. პირველი თავი ეფუძნება ლიტერატურის მიმოხილვას გლობალური ტურიზმის ტენდენციებისა და სექტორის განვითარების შესახებ. მეორე თავში განხილულია კვლევის ობიექტი, ანუ საქართველოს ტურიზმის ინდუსტრია და სტატისტიკური მონაცემები, მესამე თავში სხვადასხვა კერძო და საჯარო სუბიექტების კვლევებზე დაფუძნებით წარმოდგენილია საქართველოს ტურიზმის განვითარების ტენდენციები. დასკვნებისა და რეკომენდაციების ნაწილი კი აერთიანებს ჩატარებული კვლევების შედეგებსა და რეკომენდაციებს.

შესავალი

მსოფლიო მასშტაბით ტურიზმის როლი ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში იზრდება, რაც დადასტურებულია როგორც ვიზიტორთა რაოდენობის, ისე ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მზარდი დინამიკით. საქართველო ამ გლობალურ პროცესში მნიშვნელოვანი მოთამაშეა, რადგან მას აქვს ბუნებრივი და კულტურული რესურსების ფართო სპექტრი, რომლებიც საერთაშორისო ბაზარზე განსაკუთრებულ ღირებულებას ქმნიან. მიუხედავად ამისა, რიგი გამოწვევებით, ქვეყნის ტურისტული პოტენციალი სრულად არ არის ათვისებული. ნაშრომი ემყარება შერეულ კვლევით მეთოდოლოგიას, რომლის ფარგლებში ინტეგრირდა როგორც მეორეული სტატისტიკური მონაცემები, ასევე პირველადი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები. პირველადი მონაცემების მოპოვება განხორციელდა ონლაინ კითხვარების მეშვეობით, რომელშიც მონაწილეობდნენ ტურისტული სექტორის ძირითად წარმომადგენლები: სასტუმროები, ტურისტული

სააგენტოები, სახელმწიფო სტრუქტურები და დარგში მოქმედი ექსპერტები.

თავი 1. გლობალური ტურიზმის ტენდენციები

პირველ თავში ტურიზმი განხილულია როგორც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფენომენი, რომელიც გულისხმობს ადამიანების დროებით გადაადგილებას სხვადასხვა გეოგრაფიულ სივრცეში და ამ პროცესთან დაკავშირებულ ეკონომიკურ აქტივობას. საერთაშორისო ლიტერატურის საფუძველზე გამოვლინდა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი იყო ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული წვდომა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ტურისტული ოპერატორებისთვის. კვლევებმა აჩვენა, რომ აღნიშნული პრობლემები ევროკავშირის, აღმოსავლეთ ევროპის და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების შემთხვევაში ეტაპობრივად დაიძლია ციფრული ფინანსური პროდუქტების, ელექტრონული გადახდების სისტემების და საერთაშორისო მხარდაჭერის პროგრამების დანერგვის მეშვეობით, რაც მნიშვნელოვანწილად უწყობდა ხელს ტურისტული სექტორის მოდერნიზაციას და მზარდ კონკურენტუნარიანობას.

თავი 2. საქართველოს ტურიზმის პროფილი და სტატისტიკური ანალიზი

მეორე თავი წარმოადგენს საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მდგომარეობის ანალიზს. 2024 წლის მონაცემებით, ქვეყანას 6.5 მილიონამდე საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია, რაც მიუთითებს ქვეყნის მზარდ პოპულარობაზე. ვიზიტორთა ხარჯების სტრუქტურა

აჩვენებს, რომ ყველაზე დიდი წილი მოდის განთავსების ობიექტებზე, რასაც მოჰყვება კვება, საყიდლები და კულტურულ-გასართობ აქტივობებში დახარჯული თანხები. აღნიშნულ თავში, ასევე განხილულია საერთაშორისო ვიზიტორების წარმომავლობის ქვეყნები, საშუალო დანახარჯები ქვეყნების მიხედვით, საქართველოს ტურისტული შეთავაზებები და სხვა სტატისტიკური მონაცემები.

თავი 3. პირველადი კვლევის შედეგები

მესამე თავში წარმოდგენილია პირველადი კვლევის შედეგები, რომლებიც მოიცავს როგორც კერძო სექტორის, ისე სახელმწიფო სტრუქტურებისა და ექსპერტების შეფასებებს. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს ტურიზმის სექტორში მოქმედი კომპანიების უმეტესობა არის მცირე და საშუალო ზომის. მათი უმთავრესი ბაზრები მოიცავს ისრაელს, გერმანიას, თურქეთს, პოლონეთს, ჩეხეთს, დსთ-სა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს. ტურისტები ძირითადად ინტერესდებიან კულტურული, სამთო, რეკრეაციული და გასტრონომიული ტურებით, რაც ადასტურებს საქართველოს ნიშური მიმართულებებით განვითარების მნიშვნელოვან პოტენციალს.
კვლევამ წარმოაჩინა რამდენიმე კრიტიკული პრობლემა: კერძო სექტორის შეზღუდული წვდომა ფინანსურ რესურსებზე, ინფრასტრუქტურული დეფიციტი, პირდაპირი ავიამიმოსვლის არასაკმარისი რაოდენობები მაღალმხარჯველ ბაზრებთან, მომსახურების ხარისხის გამოწვევები და ა.შ..
აღნიშნულმა ანალიზმა ცხადყო, რომ სექტორი საჭიროებს მიზნობრივ საინვესტიციო პოლიტიკას, მორგებულ მარკეტინგულ სტრატეგიებსა და ინფრასტრუქტურულ განვითარებას. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ

საერთაშორისო პოზიციონირებისა და მაღალმხარჯველი ბაზრების მიზანმიმართული განვითარების შემთხვევაში, საქართველოს ტურიზმის სფეროს შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი.

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის ზოგადი დასკვნა ხაზს უსვამს, რომ საქართველოს ტურიზმის სექტორი განვითარების პოტენციალის მქონე დარგია, თუმცა ამ შესაძლებლობის სრულფასოვანი რეალიზება შეუძლებელია სისტემური ბარიერების გადალახვის გარეშე. სექტორის მდგრად განვითარებას აფერხებს ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული წვდომა, ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება, მომსახურების ხარისხის გამოწვევები და მასიურ ტურიზმზე დამოკიდებულება, რაც პარალელურად, ნიშური ტურისტული პროდუქტების განვითარებას ზღუდავს.
კვლევამ აჩვენა, რომ აუცილებელია სპეციფიკური საკრედიტო პროდუქტების შემუშავება, რომლებიც დაეხმარება მცირე და საშუალო ტურისტულ ბიზნესებს ინვესტიციების განხორციელებასა და ტურისტული შეთავაზებების დივერსიფიკაციაში. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო გარანტიების სქემების დანერგვა, ციფრული ფინანსური სერვისების განვითარება რეგიონებში და ცენტრალიზებული პლატფორმის შექმნა, რომელიც ბიზნესებს დაეხმარება საერთაშორისო გრანტების მოზიდვაში.
ტურიზმის სექტორის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინფრასტრუქტურის გაძლიერება, მრავალსეზონიანი ტურისტული პროდუქტების განვითარება, ადამიანური კაპიტალის გაძლიერება და სტანდარტიზებული მომსახურების

დანერგვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის საერთაშორისო ბრენდინგის გაძლიერება და მაღალმხარჯველ ბაზრებზე მიზანმიმართული პოზიციონირება.
საბოლოოდ, კვლევა ქმნის მყარ ანალიტიკურ და სტრატეგიულ საფუძველს, რომელზეც შესაძლებელია საქართველოს ტურიზმის ეროვნული პოლიტიკის გაუმჯობესება, კერძო ინვესტიციების წახალისება და ქვეყნის პოზიციონირების გაძლიერება გლობალურ ტურისტულ ბაზარზე, როგორც ოთხსეზონიანი, მდგრადი და კონკურენტუნარიანი ტურისტული დანიშნულება.

გამოქვეყნებული ნაშრომები

გარაყანიძე ზ., გეგეშიძე ე., მაღრაძე ნ., ტურიზმის სექტორის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა ევროპის ქვეყნებში. ეკონომისტი. 2024; 11-12 (DOI:10.36962/ECS106/11-12/2024-55). ინდექსირება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში: Crossref, POTRICO, Google Scholar, Zenodo, E-ISSN 2733-3361 (file:///C:/Users/User/Downloads/Economics_2022_11_12.pdf).

გარაყანიძე ზ., მაღრაძე ნ., ტურიზმის სექტორის ფინანსური გამოწვევები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში: ხელმისაწვდომობისა დამდგრადი განვითარების პერსპექტივა. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, თანამედროვეობის გლობალური გამოწვევები, სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია. 2025. ნაშრომების კრებული, ISBN-978-9941-8-6033-1.

გარაყანიძე ზ., გეგეშიძე ე., მაღრაძე ნ., Access to Financial Resources for the Tourism Sector Across European Countries. Towards a New Economy, Pedagogy and Technology. 2025; 1.

გეგეშიძე ე., გარაყანიძე ზ., მაღრაძე ნ., რატომ უჭირს საქართველოს მაღალმხარჯველი ტურისტების მოზიდვა: ბაზრისთვის მზადყოფნისა და სტრუქტურული ბარიერების ემპირიული ანალიზი. ქართველი მეცნიერები. ტ 7 N 4; 2025; (DOI:10.52340/gs.2025.07.04.14).

კონფერენცია: XIX INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE CONTEMPORARY PROBLEMS OF ECONOMY, MANAGEMENT, FINANCE, INSURANCE AND BANKING FACULTY OF LAW, ADMINISTRATION AND ECONOMICS, THE MAZOVIAN UNIVERSITY IN PŁOCK; Nino Maghradze, PhD (University of Georgia, Georgia) - Assessing the Development Trends and Financial Constraints of Georgia's Tourism Sector: A Strategic Perspective on Niche Market Potential.

University of Georgia

School of Business and Administrative Sciences

Doctoral Program: Business Administration

With the right of the manuscript

Nino Magradze

Assessment of Georgian tourism development trends (in the context of market development and difficulties in accessing financial resources oriented to high-spending tourists)

To obtain the academic degree of Doctor of Business Administration

Dissertation Herald of the

Presented Paper

(Qualification code 0413.1.2 - Business Administration)

Tbilisi 2025

The dissertation was completed at the School of Business and Administrative

Sciences Members of the Dissertation Board:

Chairman of the Dissertation Council: Professor, Rusudan Tsitskishvili

Scientific supervisor: Professor, Eka Gegeshidze ScientificCo-Supervisor - Professor, Zurab Garakanidze Member of the Dissertation Council - Professor, Givi Lemonjava

Experts: 1. Giorgi Dvalashvili, Professor

2. Rusudan Seturidze, Professor

3. Eka Devidze, Professor

The defense of the dissertation will take place on November 28, 2025, at 15:00. Address: Tbilisi, Kostava 77a, Auditorium #519.

The dissertation can be viewed in the library of the University of Georgia and on the university's website: www.ug.edu.ge dissertation herald was sent on October 5, 2025; Secretary of the Dissertation Council Natia Manjikashvili

Topical Relevance

Today, tourism is emerging as one of the fastest-growing and dynamic sectors in the global economy, which is facilitated by the intensification of international mobility and the trend of diversification of tourism experiences. Of particular importance are tourist destinations that are distinguished by the authenticity of the pristine environment, unique biogeographical resources and cultural-historical heritage.
Georgia, with its unique geographical location, cultural diversity, and natural richness, is one of the most attractive countries for modern tourists. In 2024, 6.5 million international visitors traveled to Georgia and accumulated nearly $5 billion in revenue (7% higher than in 2023). Therefore, the relevance of the research is due to the strategic importance of the tourism sector in the process of economic and social development of Georgia. The paper discusses a detailed analysis of the sub-sectors of the tourism industry in Georgia for the first time based on a survey of sector representatives, which is based on the assessment of strategic prospects for the development of niche tourism products. As a result of the study, recommendations were also developed that will contribute to the global competitiveness of Georgia's tourism and diversify the country's economy at the expense of the growth of tourism-dependent sectors.

Purpose and objectives of the research

The purpose of the study was to comprehensively assess the trends in the development of tourism in Georgia, to analyze the structural analysis of tourist flows, to study the readiness of infrastructure and services, to assess the level of development of

niche tourist destinations, to assess the availability of human capital and financial resources, and to develop strategic recommendations based on these data. The study featured an in-depth analysis that identified interactions between tourist flows from high-spending markets, the abundance of niche tourism products, and local infrastructure opportunities, as well as questioning the relationship between limited access to financial resources and the development of the tourism industry.

Scientific News and Key Results

The paper is the first attempt at a systematic assessment of the Georgian tourism sector based on a mixed research approach, which combines quantitative macroeconomic data, expert interviews and sectoral observations. The main novelty of the study lies in the fact that for the first time a complex analysis of interdependence in the economic, infrastructural and institutional dimensions of the Georgian tourism sector was carried out, which makes it possible to analyze the systematic development of tourism not only in terms of the dynamics of indicators, but also in terms of the mechanisms that determine the sustainability and competitiveness of the sector.

From a theoretical point of view, the paper develops a methodological framework for the systematic analysis of tourism that integrates economic, infrastructural and institutional factors as an interdependent system. This approach allows tourism to be perceived not as an isolated economic field, but as a complex social and spatial phenomenon that interacts with different segments.

The study also develops a practical model for the use of mixed analysis in the context of tourism policy evaluation. The results obtained on the principle of multilateral verification of quantitative and qualitative data create a new basis on the basis of

which it is possible to adapt the national tourism policy to global trends and international practices.
In practical terms, the paper is a tool for both the public and private sectors. The findings and recommendations formed as a result of the study create a strategic basis for determining tourism development policies, investment directions and infrastructural priorities.

Structure and volume of the paper

The paper consists of an introductory part, research methodology, three chapters, conclusions and recommendations. The first chapter is based on a review of the literature on global tourism trends and the development of the sector.
The second chapter discusses the object of research, i.e. the Georgian tourism industry and statistical data, and the third chapter presents the trends in the development of tourism in Georgia based on the studies of various private and public entities. Part of the conclusions and recommendations incorporates the results and recommendations of the conducted studies.

Introduction

The role of tourism in economic and social development worldwide is increasing, as evidenced by the increasing dynamics of both the number of visitors and tourism revenues. Georgia is an important player in this global process, as it has a wide range of natural and cultural resources that create special value in the international market. Nevertheless, with a number of challenges, the country's tourism potential has not been fully utilized.
The paper is based on a mixed research methodology, within the framework of which both secondary statistical data and data

obtained from the primary study were integrated. The primary data were obtained through online questionnaires involving key representatives of the tourism sector: hotels, travel agencies, government agencies and experts working in the field.

Chapter 1. Global Tourism Trends

In the first chapter, tourism is considered as an economic, social and cultural phenomenon that implies the temporary movement of people in different geographical spaces and the economic activity associated with this process. On the basis of the international literature, it has been revealed that one of the main hindrers to the development of tourism in different countries was limited access to financial resources, especially for small and medium-sized tourism operators. In the case of the EU, Eastern Europe, and the Mediterranean, the problems were gradually overcome through the introduction of digital financial products, electronic payment systems, and international support programs, which significantly contributed to the modernization of the tourism sector and increasing competitiveness.

Chapter 2. Tourism Profile and Statistical Analysis of Georgia

The second chapter is an analysis of the state of the tourism industry in Georgia. As of 2024, up to 6.5 million international visitors have visited the country, indicating the country's growing popularity. The structure of visitor spending shows that the largest share comes from accommodation facilities, followed by meals, shopping and funds spent on cultural and entertainment activities. This chapter also discusses the countries of origin of international visitors, average spending by country, tourist offers of Georgia and other statistical data.

Chapter 3. Results of the Primary Study

The third chapter presents the results of the primary study, which includes assessments of both the private sector and government structures and experts. The study showed that most of the companies operating in the tourism sector in Georgia are small and medium-sized. Their main markets include Israel, Germany, Turkey, Poland, the Czech Republic, the CIS, and Middle Eastern countries. Tourists are mainly interested in cultural, mountaineering, recreational and gastronomic tours, which confirms the significant potential for development in niche destinations of Georgia.

The study revealed several critical problems: limited access to financial resources by the private sector, infrastructure shortages, insufficient quantities of direct air traffic to high-spending markets, service quality challenges, etc.

This analysis revealed that the sector requires targeted investment policies, tailored marketing strategies and infrastructural development. The results of the study showed that with the targeted development of international positioning and high-spending markets, the Georgian tourism sector can significantly increase the country's economic potential.

Conclusions and recommendations

The general conclusion of the study emphasizes that the Georgian tourism sector is a sector with development potential, but it is impossible to fully realize this opportunity without overcoming systemic barriers. The sustainable development of the sector is hindered by limited access to financial resources, insufficient infrastructure development, service quality challenges, and reliance on massive tourism, which at the same time limit the development of niche tourism products.

Research has shown that it is essential to develop specific credit products that will help small and medium-sized tourism businesses make investments and diversify their tourism offerings. It is also important to introduce state guarantee schemes, develop digital financial services in the regions, and create a centralized platform that will help businesses attract international grants.

To ensure the sustainable development of the tourism sector, it is necessary to strengthen infrastructure, develop multi-season tourism products, strengthen human capital and introduce standardized services. Strengthening the country's international branding and purposeful positioning in high-spending markets is especially important.

Finally, the study provides a solid analytical and strategic basis on which to improve Georgia's national tourism policy, encourage private investment, and strengthen the country's position in the global tourism market as a four-season, sustainable and competitive tourism destination.

Published Papers

Garakanidze Z., Gegeshidze E., Magradze N., Access to Financial Resources of the Tourism Sector in European Countries. Economist. 2024; 11-12 (DOI:10.36962/ECS106/11-12/2024-55). Indexing in international scientific databases: Crossref, POTRICO, Google Scholar, Zenodo, E-ISSN 2733-3361 (file:///C:/Users/User/Downloads/Economics_2022_11_12.pdf).

Garakanidze Z., Maghadze N., Financial Challenges of the Tourism Sector in Eastern European Countries: Perspective on Accessibility and Sustainable Development. LEPL - David

Agmashenebeli National Defense Academy of Georgia, Global Challenges of Modernity, Scientific Practical Conference. 2025. Collection of Papers, ISBN-978-9941-8-6033-1.

გარაყანიძე ზ., გეგეშიძე ე., მაღრაძე ნ., Access to Financial Resources for the Tourism Sector Across European Countries. Towards a New Economy, Pedagogy and Technology. 2025; 1.

Gegeshidze E., Garakanidze Z., Magradze N., Why it is difficult to attract high-spending tourists in Georgia: an empirical analysis of market readiness and structural barriers. Scientists of the year. T 7 N 4; 2025; (DOI:10.52340/gs.2025.07.04.14).

კონფერენცია: XIX INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE CONTEMPORARY PROBLEMS OF ECONOMY, MANAGEMENT, FINANCE, INSURANCE AND BANKING FACULTY OF LAW, ADMINISTRATION AND ECONOMICS, THE MAZOVIAN UNIVERSITY IN PŁOCK; Nino Maghradze, PhD (University of Georgia, Georgia) - Assessing the Development Trends and Financial Constraints of Georgia's Tourism Sector: A Strategic Perspective on Niche Market Potential.